ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

 790 20-33-05

5.. §.-§“-“§

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №283

03 ოქტომბერი 2013 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის” (ს/კ - 242008279) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი“-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლას” (ს/კ - 242008279) 2013 წლის 18 სექტემბრის №98 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსურ სასპორტო სკოლას” (ს/კ - 242008279) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქ. №24–ში მდებარე 27629.00 კვ.მ. არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – ღირებულებით - 214 099 (ორასთოთხმეტი ათას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.268).

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის პირობად განისაზღვროს გადაცემული ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ (ს/კ - 242008279) წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის გამოყენება და მისი მოვლა-პატრონობა.
3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.
4. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (თამაზ ჯინჭარაძე) მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაშიბ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტშიბ მისამართზე – ჭავჭავაძის ქყ 3 §ყ
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეყ

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*

ვიზირებულიაბ

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*